საგანი - ქართული ენა არაქართულენოვანი სკოლების/სექტორებისათვის

სწავლა-სწავლების მიზნები:

საგნის „ქართული ენა არაქართულენოვანი სკოლების/სექტორებისათვის“ სწავლა-სწავლების მიზანია:

- ქართულ ენაზე საკომუნიკაციო უნარების (*მოსმენის, კითხვის, წერისა* და *ლაპარაკის*) განვითარება ქართულ ენაზე წარმატებული კომუნიკაციისათვის;
- განსხვავებულ სოციალურ კონტექსტებში ქართული ენის მიზნობრივად გამოყენების უნარის განვითარება;
- ენობრივ-კულტურული გამოცდილების გამდიდრება;
- კულტურული მრავალფეროვნებისა და განსხვავებულ კულტურებს შორის კავშირის წარმოჩენა კულტურათა დიალოგის ხელშესაწყობად;
- სამოქალაქო საზოგადოებაში მათი სრულფასოვანი ინტეგრირების ხელშეწყობა.

DRAFT

ა) სწავლის შედეგები - დაწყებითი საფეხური (I-IV კლასები)

საგნის „ქართული ენა არაქართულენოვანი სკოლების/სექტორებისთვის“ ფარგლებში დაწყებითი საფეხურის (I-IV კლასების) შედეგების მიღწევის/კომპეტენციების განვითარების საფუძველს ქმნის ცნებების -„ტექსტი“, „ლექსიკა და გრამატიკა (პრაქტიკული)“, „კულტურათა დიალოგი“ - ურთიერთდაკავშირებული გააზრება. მათი გააზრების საფუძველზე მოსწავლეს შეუძლია:

საფეხურის შედეგი	**შეფასების ინდიკატორი** - მოსწავლეს შეუძლია:	**სამიზნე ცნების მოცულობა** - მოსწავლე აცნობიერებს რომ:
(1) მცირე ზომის მარტივი ტექსტის მოსმენა და/ან წაკითხვა ძირითადი შინაარსის გასაგებად; (2) მცირე ზომის მარტივი ტექსტის ზეპირად ან წერილობით შექმნა მარტივი საკომუნიკაციო ამოცანების გადასაჭრელად; (3) ილუსტრაციების ზეპირად ან წერილობით აღწერა და მარტივ დიალოგში მონაწილეობა ნასწავლ თემებზე სასაუბროდ; (4) გაწაფული კითხვა ტექსტების შინაარსის შეუფერხებელი გაგებისთვის;	**მოსმენა** სათანადო სტრატეგიების შერჩევითა და გამოყენებით: • სხვების ან პირად მარტივ საუბარში/დიალოგში თემის, კონკრეტული დეტალების (*ვინ? რა? როგორი? რამდენი? სად? როდის? რას აკეთებს?...*), ყოველდღიური საქმიანობის ქრონოლოგიური თანმიმდევრობისა და მარტივი შეფასება-დამოკიდებულების ამოცნობა (დასახელება/ მარტივად ახსნა/დაკავშირება და ა.შ.); • მის მიმართ დასმული მარტივი შეკითხვების (მაგ., *რა ჰქვია? რამდენი წლის არის? სად ცხოვრობს? რა მოსწონს / რა არ მოსწონს? რომელ კლასში სწავლობს? როდის იღვიძებს / საუზმობს* და ა.შ.) გაგება (დასახელება/მითითება); • მასწავლებლის მოკლე მარტივი და ხშირად განმეორებული მითითებების გაგება (შესრულება, დაკავშირება); განცხადების ძირითადი ინფორმაციის (რა? სად? როდის?) ამოცნობა (დასახელება/მითითება); • თხრობითი ხასიათის მცირე ზომის მარტივ ილუსტრირებულ ტექსტში ამბის განვითარების (როგორ დაიწყო, რა მოხდა და როგორ დამთავრდა) ამოცნობა; მოქმედების დროის, ადგილისა და სიხშირის განსაზღვრა; • პერსონაჟების, მათი დამახასიათებელი ნიშან-თვისებების, სურვილებისა და ინტერესების, მარტივი შეფასება-დამოკიდებულებისა და მოქმედებების (ვინ რას აკეთებს?) გააზრება (შედარება/შეპირისპირება; ახსნა, დაკავშირება და ა.შ.). **კითხვა** სათანადო სტრატეგიების გამოყენებით, მოდელის მიხედვით ან კონკრეტული საყრდენების დახმარებით: • მცირე ზომის მარტივ პრაგმატულ ტექსტში ორიენტირება კონკრეტული მიზნით (მაგ., ანკეტის მონაცემების - მისამართის, ტელეფონის ნომრის და ა.შ. მოძიება; განცხადების ავტორისა და მიზნის ამოცნობა; ცხრილის მონაცემების - დღეების, საათის; ღონისძიების ადგილისა და დროის გაგება; ნივთის ღირებულების, კერძის ინგრედიენტების, ამინდის პროგნოზისა და სხვა საჭირო ინფორმაციის მოძიება); • მარტივი ინსტრუქციების, მიმანიშნებელი წარწერების გაგება (მაგ., სახელმძღვანელოში მოცემული სავარჯიშოები, სკოლის შენობაში /ქუჩაში გაკეთებული წარწერები - მაგ., ბიბლიოთეკა, სპორტული დარბაზი, სამასწავლებლო, აფთიაქი და ა.შ.);	სამიზნე ცნება **"ტექსტი" -** ტექსტი არის ადამიანებს შორის ვერბალური (სიტყვიერი) და/ან არავერბალური (მიმიკა-ჟესტიკულაციით, სიმბოლოებითა და ა.შ.) გზით განხორციელებული საკომუნიკაციო ერთეული. არსებობს **სხვადასხვა ტიპისა** და **ჟანრის** ზეპირი და წერილობითი ტექსტი: 1. **მხატვრული** - *ენის გასატეხები, გამოცანები, საბავშვო ლექსები; ადაპტირებული მოთხრობები და ზღაპრები;* 2. **არამხატვრული** - ა) პრაგმატული ტექსტები: გაკვეთილების ცხრილი, განრიგი, ტელეპროგრამა, რეცეპტი, განცხადება, ანკეტა; ბ) მარტივი კორესპონდენცია (*ღია გარათი, პირადი წერილი*); მინიინტერვიუ; გ) მარტივი საინფორმაციო და შემეცნებითი ტექსტები: *მარტივი ადაპტირებული სტატიები საბავშვო წიგნებიდან, ჟურნალებიდან და გაზეთებიდან;* 3. **მედია/მულტიმედია ტექსტები** - *ქართული ანიმაციური ფილმები, სპექტაკლები; საბავშვო სიმღერები; აუდიო-ვიდეო სასწავლო რესურსები საპროგრამო თემატიკაზე;* 4. **სასწავლო მიზნით შედგენილი (დიდაქტიზებული) ტექსტები** - *თემატური დიალოგები, მარტივი თხრობითი და აღწერითი ტექსტები, მარტივი კითხვარები, ადაპტირებული კომიქსები.* ნებისმიერ ტექსტს აქვს თავისი **საკომუნიკაციო სიტუაცია** (*თემა, მიზანი, ავტორი, ადრესატი, მონაწილეები*) და შედგება საკომუნიკაციო სიტუაციის შესაბამისი **ფუნქციური სამეტყველო აქტებისაგან.** ესენია: ა) ინტერაქცია სოციალურ რიტუალებში (მაგ., *მისალმება-დამშვიდობება, მოკითხვა, გაცნობა, მადლობის გადახდა, მილოცვა, თანხმობა/უარი*); ბ) ინტერაქცია ინფორმაციის მოსაპოვებლად (მაგ., *პირადი მონაცემების - ვინაობის,*

	• მცირე ზომის სხვადასხვა ტიპის მარტივ ილუსტრირებულ ტექსტში საკომუნიკაციო სიტუაციის, კონკრეტული დეტალების (ვინ? რა? როგორი? რამდენი? სად? როდის? რას აკეთებს?...) ამოცნობა (დაკავშირება, შედარება, მარტივად ახსნა და ა.შ.); • ამბის განვითარებისა (როგორ დაიწყო, რა მოხდა და როგორ დამთავრდა) და მოვლენათა ქრონოლოგიური თანმიმდევრობის გაგება (დასახელება, დაკავშირება, ახსნა); მოქმედების დროის, ადგილისა და სიხშირის განსაზღვრა; • პერსონაჟებისა და მათი დამახასიათებელი ნიშან-თვისებების, სურვილებისა და ინტერესების დასახელება; მარტივი შეფასება-დამოკიდებულების, მათი ქცევის მიზეზების გაგება (დასახელება და მარტივად ახსნა); • ტექსტის კონკრეტული ეპიზოდის დაკავშირება ილუსტრაციასთან და/ან მის წარწერასთან; ილუსტრაციების ქვეშ მოცემული წარწერების გაგება. **წერა** • მიზნის შესაბამისი სამეტყველო ქმედების განხორციელება (მაგ., საკუთარი / სხვისი პირადი მონაცემების, ყოველდღიური საქმიანობების, გადმოცემა; მოქმედებათა დროისა და ადგილის, სიხშირისა და ინტენსივობის განსაზღვრა; მოქმედების მიზეზის მარტივად ახსნა; სათქმელის ქრონოლოგიური თანმიმდევრობით დალაგება; ადამიანების, ნივთების, გარემოს შედარებითი აღწერა და მათ შორის მსგავსება/ განსხვავებების აღმოჩენა; • ილუსტრაციებზე დაყრდნობით ნასწავლი ტექსტის / ეპიზოდის ძირითადი შინაარსის აღდგენა; კითხვების ან მარტივი გეგმის გამოყენებით მიკროტექსტის შექმნა; • ნიმუშის ან მოცემული პირობის მიხედვით აღწერითი ტექსტის წერა (მაგ., მეგობრის, საცხოვრებელი ადგილის, ნივთის, ცხოველის აღწერა); • ტექსტის შექმნის დროს მისი სათანადოდ ორგანიზება (მაგ., კორესპონდენციის ფორმალური მხარის დაცვა; ტექსტის დაყოფა აზრობრივ მონაკვეთებად და სხვა). **ლაპარაკი** მოდელის მიხედვით ან კონკრეტული საყრდენების დახმარებით: • საკუთარი/სხვისი პირადი მონაცემების, ყოველდღიური საქმიანობის, სურვილებისა და ინტერესების გადმოცემა; • ადამიანების, ნივთების, გარემოს შედარებითი აღწერა და მათ შორის მსგავსება/ განსხვავებების დასახელება; • საკუთარი/სხვისი მოქმედების, მდგომარეობის შეფასება და ქცევის მიზეზების მარტივად ახსნა (მაგ., *რა მოსწონს ან არ მოსწონს და რატომ; რატომ არ იყო სკოლაში, რატომ ტირის* და ა.შ.); • შეგრძნებებისა და ემოციების, დამოკიდებულების მარტივად გამოხატვა (მაგ., *მტკივა / სტკივა; მომწონს / მოსწონს, რა კარგია...*); • ილუსტრაციებზე დაყრდნობით ნასწავლი ტექსტის ძირითადი შინაარსის, მცირე ამბის გადმოცემა; • მარტივი კითხვების დასმა/კითხვებზე პასუხი პირადი მონაცემების, ყოველდღიური საქმიანობის, ინტერესებისა და დამოკიდებულებების შესახებ (მაგ., *ვინ არის? რამდენი*	*ასაკის, ეროვნების, სადაურობის, საცხოვრებელი ადგილის, ტელეფონის ნომრის - გაცვლა; ადამიანის/ცხოველის/საგნის აღწერა/დახასიათება გარეგნობის, ფერის, ფორმის, ზომისა და ა.შ. მიხედვით; თარიღის, ჯანმრთელობის, ამინდის გაგება; საკუთარი ან სხვისი ყოველდღიური საქმიანობის გაცვლა*); გ) ინტერაქცია გრძნობა/ემოციისა და შეხედულებების/დამოკიდებულებების შესახებ (*მაგ., სიხარული, ტკივილი, სიცივე, სიცხე; მოწონება/არმოწონება; სურვილისა და ინტერესის გამოხატვა; დადებითი და უარყოფითი შეფასება (კარგია, ცუდია...)*; დ) ინტერაქცია დროისა და სივრცის შესახებ (მაგ., *დროის მითითება (საათის/დღის/კვირის/თვის/წლის), მოქმედების ქრონოლოგიური თანამიმდევრობის განსაზღვრა (პირველად, ჯერ/შემდეგ), ადგილმდებარეობისა და მიმართულების მითითება*); ე) ლოგიკური კავშირების გამოხატვა (*მიზეზი, შედეგი*). ერთი ტიპისა და ჟანრის ტექსტებს აქვს საერთო **სტრუქტურა და ორგანიზება** და **ჟანრობრივი მახასიათებლები**, რომლებიც ქმნის ტექსტის მთლიანობას: ა) ტექსტის მაორგანიზებელი სიტყვიერი/ვერბალური ელემენტები (მაგ., *სათაური, ქვესათაური, აბზაცი, რუბრიკა, წარწერა); ბ)* ტექსტის მაორგანიზებელი არასიტყვიერი/ არავერბალური ელემენტები (მაგ., *ილუსტრაცია, სვეტი, სქემა, ცხრილი, ლოგო; ტიპოგრაფიული მინიშნებები - დახრილი, წვრილი/მსხვილი შრიფტი, ხაზგასმა, სასვენი ნიშნები; ინტონაცია, მიმიკა, ჟესტიკულაცია, ხმის ტემბრი).* სამიზნე ცნება **„ტექსტის“** ზოგადი კანონზომიერებების გააზრება და გათვალისწინება სხვადასხვა საგანში მოცემული ტექსტების მიზნობრივი გაგებისა და შესაბამისი ტექსტების შედგენის საფუძველს ქმნის.

	წლისაა? სად ცხოვრობს? რა ჰქვია მის მეგობარს? რა მოსწონს / არ მოსწონს? რას აკეთებს ძილის წინ / კვირას საღამოს? და ა.შ.).	
(5) ნასწავლი <u>ენობრივ-გრამატიკული საშუალებების</u> გაგება და მათი ფუნქციური გამოყენება კონკრეტული საკომუნიკაციო ამოცანების გადასაჭრელად;	• საკომუნიკაციო სიტუაციის გათვალისწინებით ნასწავლი ლექსიკის, ფორმულების, სიტყვათშეხამებებისა და ენობრივი საკითხების (მაგ., *დროისა და ადგილის ზმნიზედების; ქრონოლოგიური თანმიმდევრობისა და ინტენსივობის გამომხატველი სიტყვების; ნასწავლი ზმნების ახლანდელი, წარსული და მომავალი დროის ფორმების; მარტივი მიზეზშედეგობრივი კავშირებისა* და ა.შ.) დასახელება, ერთმანეთთან შედარება, დაკავშირებადა ა.შ. • ნაცნობი სინტაქსური კონსტრუქციების გამოყენებით რთული წინადადებების <u>აგება</u> და მათი ფუნქციური <u>გამოყენება</u>; • ადრესატის გათვალისწინებით სათანადო ეტიკეტის (მიმართვა-მისალმების, მოკითხვის, დამშვიდობების ფორმულების; ზმნების თავაზიანი და ფამილარული ფორმების) <u>შერჩევა</u>; • სასვენი ნიშნების სათანადოდ <u>გამოყენება</u>.	<u>სამიზნე ცნება **"ენობრივ-გრამატიკული საშუალებები"**</u> - ენობრივ-გამომსახველობითი საშუალებები არის ინსტრუმენტი, რომლითაც ხორციელდება ვერბალური კომუნიკაცია. ყველა ენას თავისი ფონეტიკური, მორფოლოგიური, სინტაქსური და ლექსიკური სისტემები აქვს. ენობრივი საშუალებების (*ფონეტიკის, ლექსიკისა* და *გრამატიკის)* ცოდნა და მათი ფუნქციური გამოყენება მნიშვნელოვანია წარმატებული ზეპირი და წერითი მეტყველებისათვის. საკომუნიკაციო სიტუაციის შესაბამისი ფუნქციური სამეტყველო აქტები ქართულში ხორციელდება სათანადო ენობრივი **(ლექსიკური და გრამატიკული)** საშუალებებით: • **ფონეტიკა და ორთოეპია:** ანბანი, ხმოვანი და თანხმოვანი; ქართულისათვის დამახასიათებელი სპეციფიკური თანხმოვნები; ბგერა / ასო, მარცვალი; ასოთშეთანხმება; ინტონაცია, მახვილი, წარმოთქმა. • **მორფოლოგია:** არსებითი სახელი (*ვინ და რა ჯგუფი, სულიერი და უსულო*); სახელის რიცხვი (***ებ**იანი მრავლობითი*); კონკრეტულ ბრუნვათა ფორმა და ფუნქციები (*სახელობითი, მოთხრობითი და მიცემითი - სუბიექტისა და ობიექტის ბრუნვები; ნათესაობითით კუთვნილების, მასალის გამოხატვა; მოქმედებითით ინსტრუმენტალისის გამოხატვა*); სახელის კუმშვა და კვეცა ნათესაობითსა და მოქმედებითში; ზედსართავი სახელი (*ვითარებითი ზედსართავები და მათი ფუნქციები წინადადებაში*); რაოდენობითი და რიგობითი რიცხვითი სახელები (1-100); პირის, კითხვითი და კუთვნილებითი ნაცვალსახელები; სახელთა წარმოქმნის კონკრეტული შემთხვევები (*-იანი, უ-ო, -ელი, სა-ო*); პირისა და რიცხვის გამოხატვა სხვადასხვა ტიპის ზმნაში (*ვარ (თ), ვწერ(თ)... მაქვს/გვაქვს, მომწონს/მოგვწონს...*); ნასწავლი ზმნების

DRAFT

		სხვადასხვა დროის ფორმები (*აწმყო, უწყვეტელი/წყვეტილი, მყოფადი*); თანდებულები (*-დან/იდან, -ში, -ზე, -თან, -გან*) და ზმნიზედები (*გუშინ, დღეს... აქ, იქ... ხშირად, ზოგჯერ... ჯერ, შემდეგ...*) კონკრეტული ფუნქციით (*დრო, ადგილი, მოქმედების ინტენსივობა და ქრონოლოგიური თანამიმდევრობა*); ნაწილაკები (*კი, დიახ, არ*). • **სინტაქსი:** წინადადება მოდალობის მიხედვით - თხრობითი და კითხვითი წინადადებები; მარტივი სინტაქსური კონსტრუქციები. • **პუნქტუაცია:** წერტილი, მძიმე, კითხვის ნიშანი, ტირე. • **ლექსიკა:** სინონიმი, ანტონიმი; თემატური ლექსიკა. ქართული ენის ლექსიკისა და გრამატიკის შესწავლა საფუძველს ქმნის როგორც მშობლიური და სხვა უცხოური ენების ლექსიკური და გრამატიკული სტრუქტურების უკეთ გასაგებად, ისე მათ შორის არსებული კანონზომიერებების (მსგავსება-განსხვავებების) გასააზრებლად.
(6) ილუსტრაციებზე / ტექსტებში ასახული <u>კულტურული და საყოფაცხოვრებო რეალიების</u> აღმოჩენა კულტურული განსხვავებების მიმართ ინტერესის გამოსავლენად.	• ილუსტრაციებზე/ტექსტებში ასახული კულტურული, სოციოკულტურული და საყოფაცხოვრებო რეალიების გაგება, კავშირების გამოკვეთა, მარტივად ახსნა; • ილუსტრაციებზე/ტექსტებში ასახული უცხო კულტურული, სოციოკულტურული და საყოფაცხოვრებო რეალიების მშობლიურთან <u>შედარება</u> და მსგავსება-განსხვავებების <u>პოვნა;</u> • ნასწავლი ენობრივი ფორმულების (მაგ., მილოცვისა და სურვილის გამომხატველი ფორმულების) <u>შედარება</u> მშობლიურ ენასთან და მათ შორის მსგავსება-განსხვავებების <u>დასახელება.</u>	<u>სამიზნე ცნება **"კულტურათა დიალოგი"**</u> - განსხვავებულ სოციოკულტურულ და კულტურულ სამყაროს შორის არსებობს მსგავსება-განსხვავება. ეს მსგავსება-განსხვავება აისახება როგორც **სოციოკულტურულ რეალიებსა და კულტურაში** (მაგ., *ტრადიციული სამავშვო თამაშები; ზღაპრების პერსონაჟები, მულტფილმების გმირები; დღესასწაულები: ახალი წელი, დაბადების დღე და ა.შ.; კერძები, სამოსი, ეტიკეტი*), ისე **ენაშიც** (მაგ., *მყარი ენობრივი ფორმულები: ზღაპრების დასაწყისი და დასასრული; მილოცვისა და სურვილის გამოხატვა* და ა.შ.; *საკუთარი სახელები; მეტყველების ეტიკეტი*). ქართული ენის შესწავლისას განსხვავებული ენისა და კულტურის აღმოჩენა და საკუთართან შედარება მშობლიური ენისა და კულტურის უკეთ გაცნობიერებისა და გარე სამყაროსთან ურთიერთობის საფუძველს ქმნის.

DRAFT

ბ) თემატური არეალი

თემატური ბლოკები წარმოდგენილია მიმართულებებად, სადაც თავმოყრილია სასწავლო თემატური საკითხების ის სავალდებულო მინიმუმი, რომელიც ითვალისწინებს მოსწავლეთა ასაკობრივ ინტერესებსა და მოთხოვნებს და შეესაბამება ენობრივი ცოდნის მოცემულ დონეს.

I. **მე და სამყარო**

1. საკუთარი თავის შესახებ: *პირადი მონაცემები, დაბადების დღე, საქმიანობა, ინტერესები*;
2. სახლი და უახლოესი გარემო: *ოჯახი/ნათესავები; საცხოვრებელი ადგილი, სახლის ინტერიერი, ავეჯი / საყოფაცხოვრებო ნივთები*;
3. ქალაქი/სოფელი;
4. ყოველდღიური ცხოვრება: *სკოლა, სასწავლო საგნები, სასკოლო ნივთები და აქტივობები; დღის განრიგი*;
5. თავისუფალი დრო, გართობა: *თამაში / სათამაშოები, სპორტი, სეირნობა*;
6. ცხოველთა სამყარო;
7. ტრანსპორტი;
8. ჯანმრთელობა: *სხეულის ნაწილები; საავადმყოფო; წამალი, ექიმი*;
9. საჭმელ-სასმელი: *ხილი, ბოსტნეული, სურსათი; ჭურჭელი*;
10. საყიდლები: *ტანსაცმელი/ფეხსაცმელი; მაღაზიები*;
11. ამინდი: *წელიწადის დროები, თვეები, კვირის დღეები; ბუნების მოვლენები.*

II. **სოციოკულტურა და კულტურა**

1. ტრადიციული საბავშვო თამაშები, პერსონაჟები;
2. დღესასწაულები და ტრადიციები: *ახალი წელი, დაბადების დღე; კერძები; სამოსი*;
3. ყოფითი რეალიები: *ყოფით სიტუაციებში ქცევები და ურთიერთობები.*

DRAFT

ბ) სწავლის შედეგები - დაწყებითი საფეხური (V-VI კლასები)

საგნის „ქართული ენა არაქართულენოვანი სკოლების/სექტორებისთვის“ ფარგლებში დაწყებითი საფეხურის (V-VI კლასების) შედეგების მიღწევის/კომპეტენციების განვითარების საფუძველს ქმნის ცნებების -„ტექსტი“, „ლექსიკა და გრამატიკა (პრაქტიკული)“, „კულტურათა დიალოგი“ - ურთიერთდაკავშირებული გააზრება. მათი გააზრების საფუძველზე მოსწავლეს შეუძლია:

საფეხურის შედეგი	**შეფასების ინდიკატორი** - მოსწავლეს შეუძლია:	**სამიზნე ცნების მოცულობა** - მოსწავლე აცნობიერებს რომ:
(1) სხვადასხვა ტიპის ტექსტის მოსმენა და/ან წაკითხვა მთლიანი შინაარსის გაგება-გააზრებისათვის; (2) საკომუნიკაციო სიტუაციის შესაბამისი ფუნქციური სამეტყველო აქტების განხორციელება ზეპირად ან წერილობით საკომუნიკაციო ამოცანების გადასაჭრელად;	**მოსმენა** სათანადო სტრატეგიების შერჩევითა და გამოყენებით: • საკომუნიკაციო სიტუაციის (ადრესატის, თემისა და მიზნის, მონაწილე პირების) ამოცნობა; • მხატვრულ ტექსტში სიუჟეტური ხაზის (დასაწყისი, ამბის განვითარება, დასასრული) გამოკვეთა; • ტექსტიდან კონკრეტული ინფორმაციის (მაგ., ვინ? რა? სად? როდის? როგორ? როგორი? რატომ? რისთვის?) ამოკრება; • რეპლიკებზე დაყრდნობით თანამოსაუბრეებს/პერსონაჟებს შორის არსებული ურთიერთობების ამოცნობა (მაგ., მეგობრული, კონფლიქტური, დიდი ხნის ნაცნობები და სხვა); • ქცევებისა და დამოკიდებულებების დაკავშირება კონკრეტულ მიზეზებთან/ მოტივებთან და მათი შეფასება; • ფაქტებისა და მოვლენების თანამიმდევრობის ამოცნობა და მათ შორის არსებული მიზეზშედეგობრივი კავშირების დადგენა; • მოსმენილ ინფორმაციებზე დაყრდნობით მარტივი დასკვნების გამოტანა; • მოსმენილი ამბის პირად გამოცდილებასთან დაკავშირება. **კითხვა** • ტექსტის ან კონკრეტული ეპიზოდის საკომუნიკაციო სიტუაციის განსაზღვრა; • ტექსტში მოცემული ინფორმაციის ამოცნობა (მაგ., პერსონაჟების/საგნების/გარემოს აღწერა-დახასიათება; მოვლენათა დროისა და ადგილის, მოვლენათა და მოქმედებათა თანამიმდევრობის განსაზღვრა და ა.შ.); მოცემული ინფორმაციის სხვავდასხვა ნიშნით დახარისხება; • პერსონაჟთა ემოციებისა და განწყობების, შეფასება-დამოკიდებულებების, ქცევის მოტივების გაგება, ახსნა/შეფასება;	**სამიზნე ცნება "ტექსტი" -** ტექსტი არის ადამიანებს შორის ვერბალური (სიტყვიერი) და/ან არავერბალური (მიმიკა-ჟესტიკულაციით, სიმბოლოებითა და ა.შ.) გზით განხორციელებული საკომუნიკაციო ერთეული. არსებობს **სხვადასხვა ტიპისა** და **ჟანრის თხრობითი, აღწერითი** და **მსჯელობითი** ზეპირი და წერილობითი ტექსტი: 1. **მხატვრული** - *ლექსები; ადაპტირებული მოთხრობები, ლეგენდები და ზღაპრები; ადაპტირებული ლიტერატურული ზღაპრები*; 2. **არამხატვრული** - ა) პრაგმატული ტექსტები: *ტელეპროგრამა, რეცეპტი, განცხადება, კატალოგი, მარშრუტი, შეტყობინება, ინსტრუქცია, გზამკვლევი*; ბ) მარტივი კორესპონდენცია; ინტერვიუ; გ) მარტივი საინფორმაციო და შემეცნებითი ტექსტები: *ადაპტირებული სტატიები საბავშვო წიგნებიდან, ჟურნალებიდან და გაზეთებიდან;* დ) ადაპტირებული ბიოგრაფიული ტექსტები: *დღიური, ბიოგრაფია;* 3. **მედია/მულტიმედია ტექსტები** - *ქართული ანიმაციური ფილმები,* საბავშვო გასართობ-შემეცნებითი გადაცემები, *აუდიო-ვიდეო სასწავლო რესურსები საპროგრამო თემატიკაზე;* 4. **სასწავლო მიზნით შედგენილი (დიდაქტიზებული) ტექსტები** - *თემატური დიალოგები, მარტივი თხრობითი, აღწერითი და მსჯელობითი ტექსტები, მარტივი კითხვარები, ადაპტირებული კომიქსები.* ნებისმიერ ტექსტს აქვს თავისი **საკომუნიკაციო სიტუაცია** (*თემა, მიზანი, ავტორი, ადრესატი, მონაწილეები*) და შედგება საკომუნიკაციო სიტუაციის შესაბამისი **ფუნქციური სამეტყველო აქტებისაგან.** ესენია: ა) ინტერაქცია სოციალურ რიტუალებში (მაგ., *კომუნიკაციის დაწყება/დასრულება, წარდგენა საკუთარი თავის/სხვისი, მადლობის გადახდა, მობოდიშება, დახმარების თხოვნა, თავაზიანობის გამოხატვა; კომუნიკაცია ტელეფონით, სოციალური ქსელით* და ა.შ.); ბ) ინტერაქცია ინფორმაციის მოსაპოვებლად (მაგ., *პირადი და სხვისი მონაცემები - წარმომავლობა, სადაურობა, მისამართი; ადამიანის/ცხოველის*

DRAFT

	• ტექსტის ნაწილებს შორის ლოგიკური და ქრონოლოგიური კავშირების დადგენა; • ექსპლიციტურად მოცემულ ინფორმაციაზე დაყრდნობით მარტივი დასკვნების გამოტანა; • მხატვრული ტექსტის სიუჟეტის განვითარების საფეხურების (დასაწყისი, ამბის განვითარება, დასკვნა) გამოყოფა; • ტექსტში მოცემული ინფორმაციის პირად გამოცდილებასთან დაკავშირება; • სტრუქტურული ორგანიზების მიხედვით ერთი და იმავე ტიპის ტექსტების ერთმანეთთან შედარება და ამა თუ იმ ტექსტის სტრუქტურული ორგანიზების თავისებურებების დასახელება (მაგ., შემეცნებით ტექსტებში - სათაურები, რუბრიკები, წარწერები, ილუსტრაციები და სხვა). **წერა** კონკრეტული საყრდენების მიხედვით: • ტექსტის საკომუნიკაციო სიტუაციის (ტექსტის მიზანი, ფორმატი, ადრესატი) განსაზღვრა (მაგ., რჩევა-დარიგებებისა და მითითებების მიცემა; საკუთარი განწყობილებების, გრძნობებისა და სურვილების გამოხატვა; ფაქტის/ მოვლენის/ ადამიანისა და მისი ქცევის შეფასება და ა.შ.; კონკრეტული ამბის დასრულება ან მისი დასასრულის შეცვლა; საკუთარი წარმოსახვით, ილუსტრაციაზე დაყრდნობით, ნიმუშის ან პირობის მიხედვით მცირე ზომის აღწერითი და თხრობითი ტექსტის შექმნა და ა.შ.); • ადამიანების, საგნების შედარებითი აღწერა-დახასიათება და მათ შორის მსგავსება/ განსხვავებების აღმოჩენა; ფაქტების, მოვლენების, მოქმედებების/პროცედურების თანმიმდევრობით აღწერა/გადმოცემა; • ინფორმაციის გადმოცემისას ლოგიკური კავშირების დაცვა; • ტექსტის სათანადოდ ორგანიზება: შესაბამისი მაორგანიზებელი საშუალებების ადეკვატურად გამოყენება (მაგ., კორესპონდენციის ფორმალური მხარის დაცვა - მიმართვა, ხელმოწერა, თარიღი; დღიურის ჩანაწერებში თარიღის მითითება და ა.შ.; ტექსტის დაყოფა აზრობრივ მონაკვეთებად (აბზაცებად); სიტყვიერი და არასიტყვიერი ნაწილების სწორად განლაგება და სხვა).	*აღწერა/დახასიათება - გარეგნობა, ხასიათი, ბუნება...; გარემოს აღწერა; თავისუფალი დროის გატარება; მარტივი გეგმების/მომავალი საქმიანობის გაგება; მგზავრობა/მოგზაურობა და ა.შ.*); გ) ინტერაქცია გრძნობა/ემოციისა და შეხედულებების/დამოკიდებულებების შესახებ (*მაგ., სიხარული, ბრაზი, უკმაყოფილება, შიში; ტკივილი, წყურვილი, შიმშილი, სიცივე, სიცხე; ინტერესები და მოთხოვნილებები; დადებითი და უარყოფითი შეფასება; დათანხმება / უარყოფა; ვარაუდის გამოთქმა, პოზიციის გამოხატვა*); დ) ინტერაქცია დროისა და სივრცის შესახებ (მაგ., *დროის მითითება, მოქმედების ქრონოლოგიური თანამიმდევრობისა და ინტენსივობის (სიხშირე, ხანგრძლივობა) განსაზღვრა, ადგილმდებარეობისა და მიმართულების მითითება*); ე) ლოგიკური კავშირების გამოხატვა (*მიზეზი, შედეგი, მიზანი*). ერთი ტიპისა და ჟანრის ტექსტებს აქვს საერთო **სტრუქტურა და ორგანიზება** და **ჟანრობრივი მახასიათებლები**, რომლებიც ქმნის ტექსტის მთლიანობას: ა) ტექსტის მაორგანიზებელი სიტყვიერი/ვერბალური ელემენტები (მაგ., *სათაური, ქვესათაური, აბზაცი, სტროფი, სტრიქონი, რუბრიკა, წარწერა); ბ)* ტექსტის მაორგანიზებელი არასიტყვიერი/ არავერბალური ელემენტები (მაგ., *ილუსტრაცია, სვეტი, სქემა, ცხრილი, ლოგო; ტიპოგრაფიული მინიშნებები - დახრილი, წვრილი/მსხვილი შრიფტი, ხაზგასმა, სასვენი ნიშნები; ინტონაცია, მიმიკა, ჟესტიკულაცია, ხმის ტემბრი).* სამიზნე ცნება **„ტექსტის“** ზოგადი კანონზომიერებების გააზრება და გათვალისწინება სხვადასხვა საგანში მოცემული ტექსტების მიზნობრივი გაგებისა და შესაბამისი ტექსტების შედგენის საფუძველს ქმნის.

DRAFT

	ლაპარაკი კონკრეტული საყრდენების მიხედვით: • ნაცნობი თემების გარშემო საუბარი (ადამიანების, ნივთების, გარემოს შედარებითი აღწერა და მათ შორის მსგავსება/ განსხვავებების გამოკვეთა; საკუთარი/სხვისი შეგრძნებებისა და ემოციების, ინტერესებისა და სურვილების გამოხატვა; საყვარელი საქმიანობის თანმიმდევრული აღწერა; კონკრეტულ საკითხებზე საკუთარი დამოკიდებულების გამოხატვა და პირად გამოცდილებასთან დაკავშირება და ა.შ.); • საკუთარი/სხვისი მოქმედების, მდგომარეობის შეფასება და ქცევის მიზეზების მარტივად ახსნა; • მარტივ ინტერაქციაში მონაწილეობა (მაგ., მარშრუტის ახსნა, ტელეფონით ინფორმაციის მოპოვება და ა.შ.; მარტივი კითხვების დასმა და პასუხი საკლასო სიტუაციასთან დაკავშირებით ნაცნობი თემის, ნასწავლი ტექსტის შინაარსის გარშემო); • საყრდენების გამოყენებით (მარტივი გეგმა, ილუსტრაციები) მოსმენილი ან წაკითხული ტექსტის მოკლე შინაარსის გადმოცემა; სურათებზე დაყრდნობით მარტივი ამბის შეთხზვა; • მოსმენილი/წაკითხული ტექსტის დაკავშირება პირად გამოცდილებასთან და მსგავსი შინაარსის მქონე გაგონილი/ნანახი ან თავს გადამხდარი ამბის გადმოცემა.	
(3) ნასწავლი ენობრივ-გრამატიკული საშუალებების გაგება-გააზრება და მათი ფუნქციური გამოყენება კონკრეტული საკომუნიკაციო ამოცანების გადასაჭრელად;	• ნასწავლი ლექსიკის, სინტაქსური კონსტრუქციებისა და გრამატიკული ფორმების ამოცნობა და მართებულად გამოყენება საკომუნიკაციო სიტუაციის გათვალისწინებით (მაგ., მოვლენათა თანამიმდევრობის გამომხატველი სიტყვები: ერთხელ, თავიდან, მერე, ბოლოს...; შეფასება /დამოკიდებულების გამომხატველი ენობრივი ფორმულები; ადამიანების/საგნების შედარება შესაბამისი ენობრივი კონსტრუქციებით: ...-თან შედარებით უფრო ...-ია / უფრო მეტად/ნაკლებად და სხვა; დროსა და სივრცეში ორიენტაციის გამოხატვა სხვადასხვა ენობრივი საშუალებით: ზმნიზედა; ზმნა; ზმნისწინი, მწკრივის ფორმები; სათანადო სიტყვათშეხამებანი - ქუჩის დასაწყისში/ბოლოს... გადახვალ ქუჩაზე, წახვალ ქუჩით, გადაკვეთ ქუჩას და ა.შ.);	სამიზნე ცნება **"ენობრივ-გრამატიკული საშუალებები"** - ენობრივ-გამომსახველობითი საშუალებები არის ინსტრუმენტი, რომლითაც ხორციელდება ვერბალური კომუნიკაცია. ყველა ენას თავისი ფონეტიკური, მორფოლოგიური, სინტაქსური და ლექსიკური სისტემები აქვს. ენობრივი საშუალებების (*ფონეტიკის, ლექსიკისა და გრამატიკის)* ცოდნა და მათი ფუნქციური გამოყენება მნიშვნელოვანია წარმატებული ზეპირი და წერითი მეტყველებისათვის. საკომუნიკაციო სიტუაციის შესაბამისი ფუნქციური სამეტყველო აქტები ქართულში ხორციელდება სათანადო ენობრივი **(ლექსიკური და გრამატიკული)** საშუალებებით:

DRAFT

	• ტექსტის ფუნქციური ტიპების (თხრობა, აღწერა) <u>გამოყოფა</u> ერთი ტექსტის ფარგლებში და შესაბამის ნიშნებზე <u>მითითება</u> (მაგ., აღწერისას - ზედსართავებისა და ნაზმნარი ზედსართავების ანუ მიმღეობების სიჭარბე, ზმნების ნაკლები რაოდენობა; თხრობისას - ზმნების სიჭარბე, მოქმედების თანამიმდევრობა და მისი მარკერები და სხვა); • პუნქტუაციის მართებული <u>გამოყენება.</u>	• **მორფოლოგია:** არსებითი სახელი (*ბრუნვა და რიცხვი; წოდებითი ბრუნვა და მისი ფუნქცია - მიმართვა*); განუსაზღვრელი რიცხვითი სახელი (*ბევრი, ცოტა, მრავალი*); ზედსართავი სახელის ხარისხის ფორმების წარმოება; ზედსართავი სახელი (*ვითარებითი და მიმართებითი*) და მისი ფუნქცია წინადადებაში; ნაცვალსახელი (*პირის, კითხვითი, კუთვნილებითი, ჩვენებითი, განსაზღვრებითი*); პირისა და რიცხვის გამოხატვა ზმნაში; სახელთა წარმოქმნა (*-იანი, უ-ო, -ელი, სა-ო, მე-ე, -ური / -ული*); წარსულში შესრულებული მოქმედების ორგვარი გამოხატვა (*წყვეტილი / უწყვეტელი*); მომავალში შესასრულებელი მოქმედება (*II კავშირებითი და მისი ფუნქციები);* წართქმითი და უკუთქმითი ბრძანებითი (*გააკეთე, არ გააკეთო, ნუ გააკეთებ*); ზმნისწინის ფუნქციები (*მოქმედების მიმართულება, მრავალგზისობის გამოხატვა: მივდივარ / დავდივარ*); ზმნიზედები (*აქ, იქ, მაღლა... გუშინ, დღეს...; კარგად, ცუდად; ერთხელ, ორჯერ...; უფრო*) და მათი ფუნქციები (*ადგილის, დროის, ვითარების, ჯერობის, შედარების გამოხატვა*); თანდებულები (*- ზე /- ვით, -დან/-იდან, -მდე/-ამდე, -თან, -კენ*) და მათი ფუნქციები (*ადგილისა და დროის, მიმართულების, შედარება-მსგავსების გამოხატვა, დროში სიხშირის განსაზღვრა - ორიდან ოთხამდე; ორშაბათიდან ხუთშაბათამდე...; მანძილის განსაზღვრა - სახლიდან სკოლამდე...);* კავშირი (*და, მაგრამ, რომ*); ნაწილაკი (*უკუთქმითი: არ / ნუ; დადასტურებითი: კი, დიახ, ჰო*); • **სინტაქსი:** წინადადება მოდალობის მიხედვით - თხრობითი, კითხვითი და ძახილის წინადადებები; მსაზღვრელ-საზღვრულის შეთანხმება ბრუნვასა და რიცხვში; მოქმედების მიზეზისა და მიზნის გამოხატვა და შესაბამისი სინტაქსური კონსტრუქციები (*რატომ? - იმიტომ, რომ / რის გამო? - იმის გამო, რომ; რისთვის? - იმისთვის, რომ / რა მიზნით? - იმ მიზნით, რომ*); • **მართლწერისა და პუნქტუაციის საკითხები:** მიმართვის ფორმები საკუთარ და საზოგადო სახელებთან და მასთან დაკავშირებული მართლწერის საკითხები; რიცხვში შეთანხმება და მასთან დაკავშირებული მართლწერის საკითხები (*ორი ბიჭი, ბევრი მოსწავლე... / ორი ხატავს, ყველა მოვიდა...);* წერტილი, მძიმე, კითხვისა და ძახილის ნიშნები, ორწერტილი, ტირე; • **ლექსიკა:** სინონიმი, ანტონიმი; სიტყვაწარმოება (როგორც ენის ლექსიკური მარაგის გამდიდრების საშუალება, მაგ., *ქუდი - ქუდიანი - უქუდო; თევზი - მეთევზე; პური - მეპურე...);* თემატური ლექსიკა; მარტივი პროფესიული და დარგობრივი ლექსიკა.

DRAFT

		ქართული ენის ლექსიკისა და გრამატიკის შესწავლა საფუძველს ქმნის როგორც მშობლიური და სხვა უცხოური ენების ლექსიკური და გრამატიკული სტრუქტურების უკეთ გასაგებად, ისე მათ შორის არსებული კანონზომიერებების (მსგავსება-განსხვავებების) გასააზრებლად.
(4) <u>განსხვავებული კულტურული ნორმებისა და ღირებულებების</u> გაგება-გააზრება <u>კულტურული მრავალფეროვნების</u> მიმართ პოზიტიური დამოკიდებულების გამოსავლენად.	• <u>განსხვავებულ</u> კულტურებს შორის პარალელების <u>გავლება</u> და საკუთარ სოციოკულტურულ გარემოსთან მსგავსება-განსხვავებების <u>განსაზღვრა</u>; • კულტურული განსხვავებების მიმართ პოზიტიური დამოკიდებულების <u>გამოვლენა</u>.	<u>სამიზნე ცნება - **"კულტურათა დიალოგი"**</u> - განსხვავებულ სოციოკულტურულ და კულტურულ სამყაროს შორის არსებობს მსგავსება-განსხვავება. ეს მსგავსება-განსხვავება აისახება როგორც **სოციოკულტურულ რეალიებსა და კულტურაში** (მაგ., *დღესასწაულები და ტრადიციები - ფესტივალები, კარნავალები; შესაბამისი აქსესუარები; რიტუალები; წეს-ჩვეულებები; ტრადიციული თამაშები; ღირსშესანიშნაობები; ყოფითი რეალიები - ყოფით სიტუაციებში ქცევები და ურთიერთობები*), ისე **ენაშიც** (მაგ., *მყარი ენობრივი ფორმულები: მოკითხვა, მისალმება/დამშვიდობება და ა.შ.; ანდაზები; მეტყველების ეტიკეტი*). ქართული ენის შესწავლისას განსხვავებული ენისა და კულტურის აღმოჩენა და საკუთართან შედარება ქმნის მშობლიური ენისა და კულტურის უკეთ გაცნობიერებისა და გარე სამყაროსთან ურთიერთობის საფუძველს.

ბ) თემატური არეალი

თემატური ბლოკები წარმოდგენილია მიმართულებებად, სადაც თავმოყრილია სასწავლო თემატური საკითხების ის სავალდებულო მინიმუმი, რომელიც ითვალისწინებს მოსწავლეთა ასაკობრივ ინტერესებსა და მოთხოვნებს და შეესაბამება ენობრივი ცოდნის მოცემულ დონეს.

I. **მე და სამყარო** 1. <u>საკუთარი თავის შესახებ:</u> *პირადი მონაცემები, საქმიანობა;* 2. <u>სახლი და უახლოესი გარემო:</u> *ოჯახი და ნათესავები; მეგობრები და ახლობლები; პროფესიული საქმიანობა / ხელობა*; 3. <u>ყოველდღიური ცხოვრება:</u> *სკოლა და სასკოლო აქტივობები; დღის რეჟიმი - დილით / შუადღისას / საღამოს; ყოველდღიური ყოფითი საქმიანობა*; 4. <u>თავისუფალი დრო, გართობა:</u> *დასვენება, სეირნობა; დღესასწაულები; გარემო/ბუნება; სტუმრად წასვლა*; 5. <u>არდადეგები</u>; 6. <u>ჯანმრთელობა</u>: *ავადმყოფობა / ფიზიკური შეგრძნებების გამოხატვა; ვიზიტი ექიმთან; სპორტი, ჯანსაღი კვება*; 7. <u>ინტერესები</u>: *ჰობი; ლაშქრობა / მოგზაურობა; მუსიკა და სპორტი.*
II. **სოციოკულტურა და კულტურა** 1. <u>დღესასწაულები და ტრადიციები:</u> *ფესტივალები/კარნავალები; შესაბამისი აქსესუარები; რიტუალები*; 2. <u>წეს-ჩვეულებები</u>; 3. <u>ტრადიციული თამაშები, პერსონაჟები</u>; 4. <u>ღირსშესანიშნაობები</u>; 5. <u>ყოფითი რეალიები:</u> *ყოფით სიტუაციებში ქცევები და ურთიერთობები.*

DRAFT

ა) სწავლის შედეგები - საბაზო საფეხური

საგნის „ქართული ენა არაქართულენოვანი სკოლების/სექტორებისთვის“ ფარგლებში საბაზო საფეხურის შედეგების მიღწევის/კომპეტენციების განვითარების საფუძველს ქმნის ცნებების - „ტექსტი“, „ენობრივ-გრამატიკული საშუალებები“, „კულტურათა დიალოგი“ - ურთიერთდაკავშირებული გააზრება. მათი გააზრების საფუძველზე მოსწავლეს შეუძლია:

საფეხურის შედეგი	**შეფასების ინდიკატორი** - მოსწავლეს შეუძლია:	**სამიზნე ცნების მოცულობა** - მოსწავლე აცნობიერებს რომ:
(1) საკომუნიკაციო სიტუაციის შესაბამისი ფუნქციური სამეტყველო აქტების გაგება-გააზრება და განხორციელება სხვადასხვა ფუნქციურ კონტექსტში ეფექტიანად გამოსაყენებლად; (2) ტექსტის ჟანრული მახასიათებლების გააზრება და მათი მიზნობრივად გამოყენება კონკრეტული საკომუნიკაციო ამოცანების გადასაჭრელად;	**მოსმენა** სტანდარტულ სიტუაციებში ნელა და გარკვევით მიმდინარე საუბარში სათანადო სტრატეგიების გამოყენებით: • ძირითადი აზრისა და კონკრეტული / მნიშვნელოვანი დეტალების დასახელება/ახსნა; • სხვადასხვა ტიპის ტექსტში, საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებში გაკეთებულ განცხადებებში თემისა და მიზნის, ძირითადი საკითხების, ფაქტობრივი ინფორმაციის დასახელება/ახსნა/მითითება; • თანამოსაუბრეთა / პერსონაჟთა ურთიერთობების, თვალსაზრისების, დადებითი და უარყოფითი შეფასებების ამოკრება; • ყოველდღიურ ცხოვრებასთან დაკავშირებული ან/და მისთვის ნაცნობ თემებზე/საკითხებზე წარმოებული მარტივი არაფორმალური დისკუსიის ძირითადი შინაარსის გაგება (დასახელება, ახსნა, დასაბუთება); მისთვის საინტერესო სხვა მნიშვნელოვანი დეტალების, მოვლენებს შორის მიზეზშედეგობრივი კავშირების გამოკვეთა; • დისკუსიაში მონაწილე პირების ამა თუ იმ საკითხთან დაკავშირებით პოზიციებისა და შეფასებების გამოკვეთა; გამოთქმული პოზიციების ერთმანეთისაგან გამიჯვნა; • მოსმენილი ამბის / ისტორიის / სიტუაციის პირად გამოცდილებასთან დაკავშირება. **კითხვა** • ტექსტის მთავარი თემისა და მიზნის, ძირითადი საკითხების, ცალკეული აბზაცის მთავარი სათქმელის, ცალკეული დეტალების (*ფაქტის, მოვლენის, მოსაზრებისა და სხვა*), მთავარი და მეორეხარისხოვანი პერსონაჟების ამოცნობა (მითითება/ახსნა/დასაბუთება); • ტექსტის სხვადასხვა ნაწილს შორის არსებული ლოგიკური კავშირების ამოცნობა და შესაბამისი დასკვნების გამოტანა; • მოცემული თემის / საკითხის დაკავშირება პირად ან სხვის გამოცდილებასთან;	სამიზნე ცნება **"ტექსტი"** - ტექსტი არის ადამიანებს შორის ვერბალური (სიტყვიერი) და/ან არავერბალური (მიმიკა-ჟესტიკულაციით, სიმბოლოებითა და ა.შ.) გზით განხორციელებული საკომუნიკაციო ერთეული. არსებობს **სხვადასხვა ტიპისა** და **ჟანრის თხრობითი, აღწერითი** და **მსჯელობითი** ზეპირი და წერილობითი ტექსტი: 1. **მხატვრული** - *პოეტური ნაწარმოებები; ადაპტირებული მოთხრობები, იგავ-არაკები, მითები და ლეგენდები*; 2. **არამხატვრული** - ა) პრაგმატული ტექსტები: *ინსტრუქციები, რეკლამა, აფიშა, ანონსი, ანოტაცია, გამოხმაურება;* ბ) პირადი და ოფიციალური კორესპონდენცია, ინტერვიუ; გ) საქმიანი ქაღალდები: *განცხადება, სამოტივაციო წერილი, რეზიუმე* (CV); დ) ბიოგრაფიული ტექსტები: *ავტობიოგრაფია, ბიოგრაფია, ბიოგრაფიული ცნობარი/ პორტრეტები, დღიური, მოგონება*; ე) საინფორმაციო და შემეცნებითი ტექსტები: *მარტივი ადაპტირებული სტატიები წიგნებიდან, ჟურნალებიდან და გაზეთებიდან;* ვ) მარტივი ენით დაწერილი დარგობრივი ტექსტები; 3. **მედია/მულტიმედია ტექსტები** - *მხატვრული და დოკუმენტური ფილმები, სპექტაკლები; გასართობი და შემეცნებითი გადაცემები; სტატიები ვებგვერდიდან, ვებპორტალიდან; საპროგრამო თემატიკაზე მორგებული აუდიო–ვიდეო სასწავლო რესურსები;* 4. **სასწავლო მიზნით შედგენილი (დიდაქტიზებული) ტექსტები** - *თემატური დიალოგები; თხრობითი, აღწერითი და მსჯელობითი ტექსტები; კითხვარები; მინიკვლევები და მათი ანგარიშები.* ნებისმიერ ტექსტს აქვს თავისი **საკომუნიკაციო სიტუაცია** (*თემა, მიზანი, ავტორი, ადრესატი, მონაწილეები*) და შედგება საკომუნიკაციო სიტუაციის შესაბამისი **ფუნქციური სამეტყველო აქტებისაგან.** ესენია: ა) ინტერაქცია სოციალურ რიტუალებში (მაგ., *კომუნიკაციის დაწყება/დასრულება, წარდგენა, დაპატიჟება, შეხვედრის დანიშვნა, დახმარების თხოვნა,*

	• ფაქტის გამიჯვნა მოსაზრებისაგან / თვალსაზრისისაგან / შეფასებისაგან; მოსაზრების/ნათქვამის დაკავშირება ავტორთან / მთქმელთან; • პერსონაჟის დახასიათება კონკრეტული ინფორმაციის (მაგ., ურთიერთობების, ფაქტების, ქმედებების, მოვლენების...) და/ან ზოგადი შინაარსის გააზრების საფუძველზე; პერსონაჟების ქცევის მოტივების ახსნა, მათი საქციელის შეფასება და სათანადო დასკვნების გამოტანა; ტექსტის ავტორის/მთხრობლის, პერსონაჟის მიერ გამოთქმული პოზიციის, თვალსაზრისის გამოკვეთა და მისი დასაბუთება ტექსტიდან მოხმობილი მაგალითებით; ამ თვალსაზრისების შეფასება და საკუთარი პოზიციის ახსნა, რატომ ფიქრობს ასე; **წერა** • ტექსტის ძირითადი სათქმელის განსაზღვრა; კონკრეტული დეტალების მითითება; მნიშვნელოვან და განსაკუთრებულ ფაქტებზე, დეტალებზე ხაზგასმა; მოვლენების, ფაქტების, ადამიანებისა და მათი ქცევების დეტალური აღწერა, დადებითი და უარყოფითი მხარეების გამოკვეთა, საკუთარი პოზიციიდან შეფასება და დასაბუთება; საკუთარი ან სხვისი ინტერესების, გატაცებების, სურვილებისა და მომავლის გეგმების გამოკვეთა; • საკუთარი მოსაზრების მარტივად, მაგრამ თანმიმდევრულად და დამაჯერებლად ჩამოყალიბება იმ შემთხვევაშიც კი, თუ თემა არ ეხება ყოველდღიურ საკითხებს; მოცემული საკითხის / დასმული პრობლემის მიმართ საკუთარი თვალსაზრისის/პოზიციის განმარტება; პოზიციის გასამყარებლად სათანადო მხარდამჭერი ან უარმყოფელი არგუმენტების მოშველიება (მაგ., ფაქტები პირადი ან სხვისი გამოცდილებიდან, კვლევების ანგარიშებიდან, სტატისტიკური წყაროებიდან და ა.შ.); სხვის მიერ გამოთქმულ თვალსაზრისთან/პოზიციასთან დაკავშირებით მოკლე კომენტარების გაკეთება; ახსნა-განმარტებებისა და სათანადო რჩევების მიცემა; • ტექსტის შესადგენად სხვა საგნებში შეძენილი ცოდნისა და კომპეტენციების ინტეგრირებული გამოყენება; • ტექსტის შექმნისას აბზაცისა და სხვა სტრუქტურული მახასიათებლების (სათაური, ქვესათაური და ა.შ.) სწორად გამოყენება; თხრობითი ხასიათის მხატვრული ტექსტის დამახასიათებელი არსებითი ნიშნებისა (თემა, სიუჟეტი, ფაბულა, პერსონაჟი) და სიუჟეტის განვითარების ეტაპების (დასაწყისი - მოვლენათა განვითარება - დასასრული) დაცვა.	*ნებართვის აღება/მიცემა);* ბ) ინტერაქცია ინფორმაციის მოსაპოვებლად (მაგ., *პირადი და სხვისი მონაცემების გაცვლა; ადამიანის / ცხოველის / გარემოს, საქმიანობის აღწერა/დახასიათება; საჭიროებების / მოთხოვნილებების / სურვილების გაზიარება (ჰობი და ინტერესები, თავისუფალი დრო, საქმიანობა, ჯანმრთელობა, შეგრძნებები, გეგმები / განზრახვა, მომავლის დაგეგმვა, მგზავრობა / მოგზაურობა* და ა.შ.); გ) ინტერაქცია გრძნობა/ემოციისა და შეხედულებების/დამოკიდებულებების შესახებ (*დადებითი და უარყოფითი გრძნობებისა და ემოციების, შთაბეჭდილების, შეფასების, პოზიციის გამოხატვა და მისი არგუმენტირება: კმაყოფილება / უკმაყოფილება, სინანული, გაკვირვება, ეჭვი, ვარაუდი, ინტერესი / ინდიფერენტულობა*); დ) ინტერაქცია დროისა და სივრცის შესახებ (*დროში ლოკალიზება, მოქმედების ქრონოლოგია, სიხშირე და ხანგრძლივობა, თანადროულობა; ადგილმდებარეობისა და მიმართულების მითითება / განსაზღვრა: დანიშნულების ადგილი, მარშრუტი*); ე) ლოგიკური კავშირების გამოხატვა (*მიზეზი, შედეგი, მიზანი, ოპოზიცია, პირობითობა*). ერთი ტიპისა და ჟანრის ტექსტებს აქვს საერთო **სტრუქტურა და ორგანიზება** და **ჟანრობრივი მახასიათებლები**, რომლებიც ქმნის ტექსტის მთლიანობას: ა) ტექსტის მაორგანიზებელი სიტყვიერი/ვერბალური ელემენტები (მაგ., *სათაური, ქვესათაური, აბზაცი, რუბრიკა, წარწერა, შემოკლებული სიტყვები); ბ)* ტექსტის მაორგანიზებელი არასიტყვიერი/არავერბალური ელემენტები (მაგ., *სქემა, ცხრილი, ლოგო; ტიპოგრაფიული მინიშნებები - დახრილი, წვრილი/მსხვილი შრიფტი, ხაზგასმა, სასვენი ნიშნები; ინტონაცია, მიმიკა, ჟესტიკულაცია, ხმის ტემბრი); გ)* აბზაცის სტრუქტურა (*თემატური წინადადება, დამხმარე წინადადებები, დასკვნითი წინადადება*). სამიზნე ცნება **„ტექსტის“** ზოგადი კანონზომიერებების გააზრება და გათვალისწინება ქმნის სხვადასხვა საგანში მოცემული ტექსტების მიზნობრივი გაგებისა და შესაბამისი ტექსტების შედგენის საფუძველს ქმნის.

DRAFT

	ლაპარაკი • მოუმზადებლად ისეთ საუბარში ჩართვა და საკუთარი აზრის გამოთქმა, რომელიც ყოველდღიურობას, საყოფაცხოვრებო თემებსა და მისი პირადი ინტერესის სფეროს ეხება (მაგ., საკუთარი ან სხვისი არჩევანის / გადაწყვეტილებების, მიზნებისა და გეგმების, ურთიერთობებისა და სხვა, მისთვის მნიშვნელოვანი საკითხების შესახებ); ისეთი მოვლენისა თუ ფაქტის თანამიმდევრულად და მნიშვნელოვანი ნიუანსების გათვალისწინებით გადმოცემა, რომელსაც თვითონ შეესწრო; • ნასწავლი თემის/საკითხის გარშემო მიმდინარე მარტივ ფორმალურ და/ან არაფორმალურ დისკუსიებში კონკრეტული პრობლემების დასმა; მთავარი სათქმელის გამოკვეთა; პრობლემის გამომწვევი მიზეზების დასახელება და შეფასება; პრობლემასთან დაკავშირებით საკუთარი პოზიციის/დამოკიდებულების გამოხატვა, არჩევანის გაკეთება და მისი სისწორის ახსნა და დასაბუთება; • მოსმენილი ან წაკითხული ტექსტის / ნანახი, გაგონილი, თავს გადამხდარი ამბის ძირითადი შინაარსის გადმოცემისას ინფორმაციის დაყოფა აზრობრივ მონაკვეთებად; ძირითად სათქმელთან ცალკეული ინფორმაციის ლოგიკურად დაკავშირება; საუბრისას აზრობრივი თანამიმდევრობის დაცვა; ძირითადი სათქმელის გასაშლელად დამატებითი ინფორმაციების შემოტანა; საინტერესო დეტალების გამოკვეთა და დაწვრილებით აღწერა და ა.შ.; • კითხვების დასმით ინფორმაციის დაზუსტება; მითითებების, რჩევებისა და რეკომენდაციების დეტალურად მიცემა; საკუთარ საქმიანობასთან დაკავშირებული განცხადებების გაკეთება.	
(3) ნასწავლი ენობრივ-გრამატიკული საშუალებების გააზრება და მათი ფუნქციური გამოყენება საკომუნიკაციო ამოცანების გადასაჭრელად;	• ნაცნობ სიტუაციებში აზრის ნათლად და ზუსტად ჩამოყალიბება; სხვადასხვა სიტუაციაში გრამატიკული ცოდნისა და მარტივი, მაგრამ მრავალფეროვანი ლექსიკის ფუნქციური გამოყენება (მაგ., სხვადასხვა სიტუაციის, პერსონაჟის აღწერა-დახასიათება სხვადასხვა ენობრივი საშუალებით - შესაბამისი ლექსიკით, შედარების მარტივი და გავრცობილი ხერხებით, სინონიმებით, ანტონიმებითა და ა.შ.; მსჯელობისა და არგუმენტაციისათვის შესაფერისი სინტაქსური კონსტრუქციები და ენობრივი ფორმულები (მაგ., ამას ადასტურებს ის, რომ; თუ ეს ასეა, მაშინ; აუცილებელია, რადგან და სხვა); პირობის, ვარაუდის გამოხატვა შესაბამისი სინტაქსური კონსტრუქციებით, მოდალური ელემენტებით, სათანადო ლექსიკით და ა.შ.); • სიტყვათა შორის სინტაქსური მიმართებების სწორად განსაზღვრა (მაგ., ზმნისა და სახელის ურთიერთობა პირსა და რიცხვში; მსაზღვრელ-საზღვრულის შეთანხმება ბრუნვასა და რიცხვში და ა.შ.);	სამიზნე ცნება **"ენობრივ-გრამატიკული საშუალებები"** - ენობრივ-გამომსახველობითი საშუალებები არის ინსტრუმენტი, რომლითაც ხორციელდება ვერბალური კომუნიკაცია. ყველა ენას თავისი ფონეტიკური, მორფოლოგიური, სინტაქსური და ლექსიკური სისტემები აქვს. ენობრივი საშუალებების (*ფონეტიკის, ლექსიკისა და გრამატიკის)* ცოდნა და მათი ფუნქციური გამოყენება მნიშვნელოვანია წარმატებული ზეპირი და წერითი მეტყველებისათვის. საკომუნიკაციო სიტუაციის შესაბამისი ფუნქციური სამეტყველო აქტები ქართულში ხორციელდება სათანადო ენობრივი **(ლექსიკური და გრამატიკული)** საშუალებებით: • **მორფოლოგია და სინტაქსი:** არსებითი სახელის ბრუნება და ბრუნვათა ფუნქციები; კონკრეტული და აბსტრაქტული სახელები

	• ნაცნობი სინტაქსური კონსტრუქციების გამოყენებით რთული წინადადებების აგება და მათი ფუნქციური გამოყენება; რთული კონსტრუქციების აგება როგორც კავშირიანი, ისე უკავშირო შეერთებით; მისათითებელი სიტყვებისა და წევრ-კავშირების ერთმანეთთან მართებული გამოყენება (მაგ., იქ - სადაც, მაშინ - როცა და სხვა); • კითხვის დასმის, თხოვნის, ბრძანებისა და გრძნობების გადმოცემისას სიტყვათა რიგისა და ამ მოდალობებისათვის დამახასიათებელი ინტონაციის დაცვა; • ტექსტის მიზნისა და ადრესატის გათვალისწინებით შესაბამისი სტილისა და ენობრივი მახასიათებლების შერჩევა.	(*ძველი/სიძველე; ახალგაზრდა/ახალგაზრდობა);* ზედსართავი და რიცხვითი სახელები, მათი ბრუნება და ფუნქციები; ნაცვალსახელის ჯგუფები, მათი ბრუნება და ფუნქციები; გეოგრაფიულ სახელთა წარმოქმნა (*-ეთ, სა-ეთ, სა-ო)*; სუბიექტური და ობიექტური პირების გამოხატვა სხვადასხვა ტიპის ზმნაში; მოქმედების გამოხატვა წარსულსა და მომავალში (*სასურველი და სავარაუდო მოქმედების გამოხატვა II კავშირებითითა და ხოლმეობითით; აუცილებლად შესასრულებელი და აკრძალული მოქმედების გამოხატვა წართქმითი და უკუთქმითი ბრძანებითით; წარსულში შესრულებელი მოქმედების გამოხატვა - ერთგზისი და მრავალგზისი მოქმედება, შესრულებული მოქმედების პროცესი და შედეგი; უნახავი მოქმედების გამოხატვა I თურმეობითით*); ზმნის აქტიური და პასიური ფორმები (*დაანგრია - დაინგრა...);* ზმნისწინი და მისი ფუნქციები (ასპექტის წარმოება...); თავისებური ზმნები (*გდია/ყრია, ვარდება/ცვივა, დევს/აწყვია... ვაძლევ/მივეცი, ვამბობ/ვიტყვი/ვთქვი...);* საწყისი და მიმღეობა (წარმოება და ფუნქციები); კავშირი რთულ წინადადებაში (*და, თუ, მაგრამ, რომ, როცა, სადაც, რომელიც, ვიდრე...);* მსაზღვრელ-საზღვრულის ურთიერთობა, ბრუნვა და ფუნქციები; პირობისა და შედეგის გამოხატვა და შესაბამისი სინტაქსური კონსტრუქციები (რა შემთხვევაში? რა პირობებში?); აქტიური და პასიური კონსტრუქციები. • **მართლწერისა და პუნქტუაციის საკითხები:** სახელის ბრუნვასა და რიცხვთან დაკავშირებული მართლწერის საკითხები; რთული რიცხვითი სახელების მართლწერა; რიგობითი რიცხვითი სახელების გამოხატვა არაბული და რომაული ციფრებით; კუთვნილებითი ნაცვალსახელის მართლწერა (*თავისი თუ მისი? თავისი/თავიანთი; ჩემ**ს** ძმას, შენ**ს** ოთახში* ...); რთული სიტყვების (კომპოზიტების) მართლწერის საკითხები; ზმნისა და კრებითი სახელების / და კავშირით შეერთებული სახელების / შეთანხმება რიცხვში; სასვენი ნიშნების გამოყენება ერთგვაროვანი წევრების ჩამონათვალთან, რთულ სინტაქსურ კონსტრუქციებში. • **ლექსიკა:** კომპოზიტები, მათი შედგენილობა და მნიშვნელობა; სიტყვათშეხამებები; სიტყვაწარმოება (როგორც ენის ლექსიკური მარაგის გამდიდრების საშუალება, მაგ., *ბავშვი - ბავშ**ვობა,** წითელი - **სი**წითლე...);* პროფესიული და დარგობრივი ლექსიკა.

DRAFT

		ქართული ენის ლექსიკისა და გრამატიკის შესწავლა საფუძველს ქმნის როგორც მშობლიური და სხვა უცხოური ენების ლექსიკური და გრამატიკული სტრუქტურების უკეთ გასაგებად, ისე მათ შორის არსებული კანონზომიერებების (მსგავსება-განსხვავებების) გასააზრებლად.
(4) ცხოვრების განსხვავებული წესების, კულტურული ნორმებისა და ღირებულებების გაგება-გააზრება კულტურული მრავალფეროვნების მიმართ პოზიტიური დამოკიდებულების გამოსავლენად და <u>კულტურათა დიალოგის</u> ხელშესაწყობად.	• საკითხთან დაკავშირებული სოციოკულტურული და კულტურული თვითმყოფადობის გამომხატველი რეალიების (მაგ., ორი სხვადასხვა რეგიონის ან იქ მცხოვრები ეთნიკური ჯგუფების წეს-ჩვეულებების, ტრადიციების, ნაციონალური სამზარეულოს და ა.შ.) ერთმანეთთან <u>შედარება</u> და მათ შორის <u>მსგავსება/განსხვავებების აღმოჩენა;</u> უცხო კულტურისთვის დამახასიათებელი ქცევის ეტიკეტის <u>ამოცნობა</u> და მშობლიურ სოციოკულტურულ გარემოსთან <u>შედარება;</u> • <u>მსჯელობა</u> სხვადასხვა ნაწარმოებში ასახული ფასეულობებისა და შეხედულებების მსგავსება-განსხვავებაზე და მათი გამომწვევი ფაქტორების <u>დასახელება და ახსნა;</u> • წარმოებული სიტყვების, გამოთქმების მნიშვნელობათა <u>ამოცნობა</u> და მათი შესატყვისების <u>პოვნა</u> მშობლიურ ენაში.	<u>სამიზნე ცნება **"კულტურათა დიალოგი"**</u> – განსხვავებულ სოციოკულტურულ და კულტურულ სამყაროს შორის არსებობს მსგავსება-განსხვავება. ეს მსგავსება-განსხვავება აისახება როგორც **სოციოკულტურულ რეალიებსა და კულტურაში** (მაგ., *ტრადიციები და წეს-ჩვეულებები, ყოფით სიტუაციებში ქცევები და ურთიერთობები, ეროვნული და რელიგიური დღესასწაულები, სახელმწიფო სიმბოლიკა, ღირსშესანიშნაობები /კულტურული მემკვიდრეობის ძეგლები, ფასეულობები და ღირებულებები, კულტურული ნორმები - ქცევის ეტიკეტი*), ისე **ენაშიც** (მაგ., *ანდაზები და აფორიზმები, იდიომატური გამოთქმები, კომპოზიტები, მეტყველების ეტიკეტი*). ცნების - „კულტურათა დიალოგის“ გაცნობიერება სხვადასხვა ეპოქის, ქვეყნის სოციოკულტურული გარემოს (პიროვნებათშორისი ურთიერთობების, ფასეულობებისა და ღირებულებების) გააზრების საფუძველს ქმნის ესთეტიკისა (მუსიკა, ხელოვნება) და საზოგადოებრივი მეცნიერებების (ისტორია, გეოგრაფია, მოქალაქეობა) შესწავლისას.

DRAFT

ბ) თემატური არეალი

თემატური ბლოკები წარმოდგენილია მიმართულებებად, სადაც თავმოყრილია სასწავლო თემატური საკითხების ის სავალდებულო მინიმუმი, რომელიც ითვალისწინებს მოსწავლეთა ასაკობრივ ინტერესებსა და მოთხოვნებს და შეესაბამება ენობრივი ცოდნის მოცემულ დონეს.

I. **მე და სამყარო** 1. <u>ყველაფერი ჩემ შესახებ</u>: *პირადი მონაცემები, ოჯახი და სახლი; ყოველდღიური ყოფითი საქმიანობა; ჯანსაღი ცხოვრების წესი; თავისუფალი დრო, ჰობი, ინტერესები, მოგზაურობა; უახლოესი გეგმები, პროფესიული არჩევანი;* 2. <u>ფიზიკური გარემო</u>: *კოსმოსი და ციური სხეულები, მსოფლიოს გარშემო - ქვეყნები და ქალაქები; გეოგრაფიული გარემო, მხარეები, აღმოჩენები.*
II. **სოციოკულტურა და კულტურა** 1. <u>ყოველდღიური ცხოვრება</u>: *ეტიკეტი, ქცევები ყოფით სიტუაციებში; თავისუფალი დროის გატარება;* 2. <u>პიროვნებათშორისი ურთიერთობები:</u> *ოჯახური ურთიერთობები, თანატოლებს / თაობებს შორის ურთიერთობები;* 3. <u>ღირებულებები და ფასეულობები:</u> *ტრადიციები, დღესასწაულები და ფესტივალები, ღირსშესანიშნაობები; ისტორიული პიროვნებები და მოვლენები; სხვა ქვეყნებისა და ხალხების კულტურა.*

DRAFT